კურორტ ბახმაროში 20-ზე მეტი სახლი დაინგრა

კურორტ ბახმაროში ზვავმა 20-ზე მეტი სახლი დაანგრია. კურორტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ზვავმა სახლები ზამთარში პიონერის ქუჩაზე დაანგრია.

სტიქიის შედეგების შემსწავლელი კომისია ჩოხატაურის მერიაში ჯერ შექმნილი არ არის. დაეხმარება თუ არა დაზარალებულებს მუნიციპალიტეტი, ეს აღნიშნულმა კომისიამ უნდა განსაზღვროს.

3 მაისის მდგომარეობით, ზვავი რამდენიმე ადგილზე ჩამოწოლილია ბახმაროში მისასვლელ გზაზეც, რის გამოც მოძრაობა შეწყვეტილია.

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 10(10446) 5 მაისი, 2023 წ. ფასი 80 თეთრი.

ალიძვრება თუ არა საქმე ქ. ოზურგეთის ცენტრში მარიხუანას დათესვის გამო

ალიონი. 2 მაისს, ცენტრალური და რეგიონული მედიასაშუალებების მიერ გავრცელდა ვიდეოკადრები ქ. ოზურგეთის ცენტრში მარიხუანას პლანტაციის აღმოჩენის გამო.

ზვიად გამსახურდიას მოედანზე, სადაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ინფრასტრუქტურული პროექტით გათვალისწინებული რკინის ქოთნების განათავსა, რომელშიც მწვანე ნარგავები ჩარგო.

აღნიშნულმა რკინის ქოთნებმა მოსახლეობაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოწვია და მის აღებასაც ითხოვდნენ. ამჯერად კი აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ ქოთნებში ათეულობით ძირი მარიხუანაა იყო დარგული (?!)

აღნიშნული მოედნის გვერდით იუსტიციის სახლი დგას, სადაც საპატრულო პოლიციისა და პროკურატურის ოფისებია განთავსებული, ხოლო ამ ადგილიდან 200 მეტრში სამხარეო და რაიონული პოლიციის სამმართველოებია განთავსებული.

პოლიცია და ადგილობრივი ხელისუფლება უყურადღებოდ რომ არ დატოვებს მომხდარს, ეს ოზურგეთის საკრებულოს სხდომაზე გამოჩნდა.

საკრებულოს დეპუტატ **ბესო მელუას** განცხადებით, მიმდინარეობს აღნიშნული საქმის მოკვლევა და ამ „პერფომანსის“ მომწყობთა სავარაუდო ვინაობაც იციან.

რკინის ქოთნებს რომ მოედნიდან არ აიღებენ, ოზურგეთის „სერვისცენტრის“ მიერ მიმდინარე სამუშაოებიც მოწმობს. ისინი 3 მაისს, დილით რკინის ქოთნებს ასუფთავებენ.

როგორც „სერვისცენტრის“ თანამშრომლებმა გვითხრეს რკინის ქოთნების დასუფთავების შემდეგ ნარგაობის გარშემო მულჩი უნდა დააფინონ.

„თქვენ ხართ ჩასაფრებულები, საკუთარი ქალაქი გძულთ“

ალიონი. *„თქვენ ხართ ჩასაფრებულები, ნუთუ დადებითი ვერაფერი დაინახეთ, საკუთარი ქალაქი ასე რომ გძულთ“* –ასე მიმართა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სდომაზე მორიგი დაპირისპირებისა და გაწევგამოწვევის დროს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **მარიკა ჩხიკვიშვილმა** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატს თათია ნიკოლაიშვილს.

საკრებულოს სხდომის დაწყებამდე ოპოზიციონერმა დეპუტატმა **თათია ნიკოლაიშვილმა** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შენობის წინ მედიასთან ბრიფინგი გამართა და ოზურგეთის მერი ავთანდილ თალაკვაძე საბავშვო ბაღების მიმართ უყურადღებობაში დაადანაშაულა.

–ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი თავს უფლებას აძლევს 2 მილიონი ლარი ხალხის ფული დახარჯოს კუბოების მსგავს საქოთნეებზე, რომელიც დგას ქალაქის ცენტრში. ამ დროს კი მძიმე მდგომარეობაა მუნიციპალიტეტის საბავშო ბაღებში: გურიანთის საბავშვო ბაღში ჭერი ჩამონგრეულია და საწოლების საჭირო რაოდენობა არ აქვთ. 36 ბავშვს მორიგეობით სძინავს. კონჭკათის საბავშვო ბაღი კერძო საცხოვრებელ სახლშია, ხოლო სოფელ მერიის ბაღი – ადგილობრივი წა-რმომადგენლობის შენობაში. 21-ე საუკუნეში ბაღების უმეტესობა შეშის თუმელით თბება.

არც ბავშვების აღზრდა, არც მშობლების საზრუნავი და არც საბავშვო ბაღების მომსახურე პერსონალი აინტერესებთ, რომლებსაც მძიმე პირობებში უწევთ მუშაობა. მომსახურე პერსონალმა, არსებული მდგომარეობა რომ არ გაახმაურონ, მათზე ზეწოლა მიმდინარეობს – განაცხადა თათია ნიკოლაიშვილმა.

თათია ნიკოლაიშვილმა ბაღების თემა საკრებულოს სხდომაზეც გააგრძელა.

მდგომარეობის მორიგი გამწვავება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომობილების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების საკითხს მოჰყვა.

ამჯერად სიტყვა ფრაქცია ნაცმოძრაობის თავმჯდომარე **დავით მჟავანაძემ** ითხოვა და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ახლახან შეძენილი მსუბუქი ავტომობილების და ძველი, სამგზავრო ავტობუსების „ბოგდანი“ ფოტოები წარმოაჩინა.

– მერია მხოლოდ ხელისუფლების მაღალი რანგის ჩინოვნიკების კომფორტზე ზრუნავს. 1 მილიონ ლარზე მეტი დახარჯეს ამ მიზნით. ხალხის გადასახადების ხარჯზე უფრო კომფორტულად ცხოვრობენ. ოზურგეთში „ფიატის“ მარკის ავტომობილების შემოყვანა პარლამენტის წევრი დეპუტატის პირად ინტერესებში შედიოდა.

„ქართულმა ოცნებამ“ ამომრჩეველი მოატყუა. ოზურგეთის ამჟამინდელი მერი წინასაარჩევნოდ ხალხს დაპირდა, რომ განაახლებდა მუნიციპალური ტრანსპორტის პარკს და შეღავათიან ფასებში სოფლებში ავტობუსებს დანიშნავდა. მოსახლეობას კვლავ ძველი, ამორტიზებული ავტობუსები ემსახურება–განაცხადა დავით მჟავანაძემ

ნიკოლაიშვილისა და მჟავანაძის გამოსვლებს საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილე **ლავრენტი ბიგვავამ** ჩასაფრება და სირცხვილი უწოდა.

დაპირისპირება ამით არ ამოწურულა და თათია ნიკოლ-

გვ–2

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 80 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 3,20 ლარი,
სამი თვით – 9,60 ლარი,
6 თვით –16 ლარი,
ერთი წლით – 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ვიორგი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

„თქვენ ხართ ჩასაფრებულები, საკუთარი ქალაქი გძულთ“

აიშვილმა საკრებულოს ტრიბუნასთან დააპირა მისვლა. მას შეახსენეს, რომ საკრებულოს რეგლამენტი და მარიკა ჩხიკვიშვილი წინ გადაუდგა და საშუალება არ მისცა ნიკოლაიშვილს ჩანაფიქრი განეხორციელებინა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე **გიორგი ღურჯუმელიძემ** *დარბაზშიც გასცა ოპონენტებს პასუხი, შემდეგ კი ცენტრალურ და რეგიონულ მედიასთან გააკეთა კომენტარი:*

–მე ვაცხადებ, რომ ნაციონალური მოძრაობა არის პროექტების და იდეების ქურდი. მათ აქვთ საჯარო ინფორმაცია, საქართველოს პრემიერ-მინისტრისგან გაცხადებული, მთელი ქვეყნის მასშტაბით ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობის შესახებ. მათ შორის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში თანამედროვე სტანდარტით აღჭურვილი მინიმუმ 4 ახალი საბავშვო ბაღი აშენდება – სოფელ გურიანთაში, მერიაში, შრომაში და ქ. ოზურგეთში (№8 საბავშვო ბაღი). ახლა ნაციონალური მოძრაობას უნდა, ეს გაატაროს თავის ინიციატივად, რომ თითქოს ეს საკითხი მათ მიერ იყო დაყენებული და მოხდა რეაგირება. საზოგადოებამ იცის ამის შესახებ. საკუთარი ქალაქის წინღმდეგ წასვლა და საკუთარი ხალხის სიძულვილი არის სირცხვილი. ნაციონალური მოძრაობა რასაც აკეთებს, იმას მოიმკის – განაცხადა გიორგი ღურჯუმელიძემ.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულებში

ლანჩხუთის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** მოადგილეებთან და მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროს შოთა ჩაგუნავასთან ერთად სოფლის რწმუნებულებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

მერმა ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული საჭიროებები მოისმინა. ყურადღება გამახვილდა სოფლის მეურნების საკითხებზე, მათ შორის, საგაზაფხულო სამუშაოებსა და ფაროსანას წამლობასთან დაკავშირებით.

ალექსანდრე სარიშვილმა სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებთან დაკავშირებით მიიღო ინფორმაცია.

ამ დროისთვის აკეთისა და ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში აქტიურად მიმდინარეობს წყალმომარაგების სამუშაოები, რომელსაც „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ ახორციელებს.

გაზიფიცირება კი 16 სოფელში იწყება, ამჯერად დაქსელვის სამუშაოები ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში აქტიურად მიმდინარეობს.

გარდა ამისა, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შერჩეული პრიორიტეტების მიხედვით სრულდება საპროექტო სამუშაოები, რის შემდეგაც ტენდერები გამოცხადება და ყველა სოფელში აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაიწყება.

ალექსანდრე სარიშვილმა წარმომადგენლებს დაავალა მაქსიმალური ყურადღება გამოიჩინონ, რათა დროულად მოხდეს ყველა იმ საკითხის მოგვარება, რაც მოსახლეობის საჭიროებას წარმოადგენს.

აღვადგინოთ გრიგოლეთის ფიჭვნარი

გრიგოლეთში აქციის - „შეექმნათ უკეთესი გარემო, აღვადგინოთ გრიგოლეთის ფიჭვნარი“ ფარგლებში ლანჩხუთის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბძესთან, **ს**ოფლის მაჟორიტარ ია მოქასთან ერთად ფიჭვის ნერგები დარგეს.

– ბოლო დროს ძლიერი ქარის შედეგად არაერთი, უნიკალური ფიჭვის ხე დაზიანდა და გადავწყვიტეთ ახალი ნერგები დავრგოთ და განვახლოთ ფიჭვების უმშვენიერესი ზოლი. მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ სასიკეთო საქმეში წვლილი შეიტანა. მსგავსი აქცია მომავალშიც გაგრძელდება - აღნიშნა **ალექსანდრე სარიშვილმა.**

აქციაში მონაწილეობა აღგილობრივ მოსახლეობასთან ერთად გრიგოლეთის გრიგოლ ღვთისმეტყველის სახელობის მონასტრის წინამძღვარმა ზაბულონ (ხუბუკელაშვილმა) და დედა ემილია (მიქაუტაძემ) მიიღეს.

ჩვენს მკითხველებს

გაზეთი „ალიონი“, რომლის ისტორია 92 წელს ითვლის, ბოლო პერიოდში მძიმე ფინანსური პრობლემების წინაშე დგას, რომელიც სუბიექტური და ობიექტური პრობლემებითაა გამოწვეული.

რედაქცია ცდილობს დაძლიოს სიძნელეები და ბოდიშს უხდის მის ერთგულ მკითხველებს, ყველა ხელისმომწერს რამდენიმე ნომრის დაგვიანებით გამოცემის გამო.

დარწმუნებული ვართ, თქვენი თანადგომით დავძლევთ სიძნელეებს და „ალიონი“ გააგრძელებს თაობების მიერ შექმნილ ტრადიციებს.

„ალიონი“ ეს არის უძველესი გაზეთი უხლოესი ინფორმაციებით!

დახმარება მოქალაქეებს

„გურიის მაჟორიტარი დეპუტატის ვასილ ჩიგოგიძის თანადგომით, სამხარეო ადმინისტრაციის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ჩოხატაურის ბიუროს წარმომადგენლებთან ერთად, კვლავ გავახარეთ რამდენიმე ოჯახი.

მზად ვართ, მუდამ ვიყოთ იმ მოქალაქეების გვერდით, რომელთაც ჩვენი მხარდაჭერა განსაკუთრებით სჭირდებათ.“–წერს ჩოხატაურის მერი **დავით შარაშიძე** სოციალურ ქსელში.

სუფსასა და ხაჭალიაში ახალი საბავშვო ბაღები შენდება

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში სუფსასა და ხაჯალიაში საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით 100-100 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღების მშენებლობა მიმდინარეობს.

– ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ორი ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა დასკვნით ეტაპზეა. ახალი 2023-2024 სასწავლო წლიდან სუფსასა და ხაჯალიაში მცხოვრები ბავშვები ახალ, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ბაღებში გაგრძელებენ სააღმზრდელო პროცესს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში წელს დამატებით 5 საბავშვო ბაღის მშენებლობის დაწყება იგეგმება. ამით ჯამში სრულად აღმოიფხვრება ამ კუთხით არსებული ინფრასტრუქტურული საჭიროებები – აღნიშნა ლანჩხუთის მერმა.

პროექტის ღირებულება ჯამში 8 200 000 ლარია.

სამუშაოები ლანჩხუთის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** მოადგილე **თორნიკე ტიკაძესთან** ერთად დაათვალიერა.

უგულშემატკივრებს ოზურგეთის „არწივებს“! კიდევ ერთხელ ერთიანობითა და ქომაგობით მივაღწიოთ დასახულ მიზანს და ვიზეიმოთ გამარჯვება.

დასაწყისი 15 სთ.ზე

დახმარებების ნუსხა იზრდება

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესში ცვლილებების შესახებ იმსჯელეს.

საკითხი მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ვაჟდაცვის სამსახურის განყოფილების უფროსმა **მაიზერ ცეცლაძემ** წარმოადგინა.

ონკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ (მედიკამენტები და სხვა დანიშნულების საგნები) ბენეფიციარები ექიმის დანიშნულებით, წელიწადში ერთხელ, მოთხოვნის შესაბამისად მიიღებენ 250 ლარის ფარგლებში. ამჯერად მედიკამენტების გამოწერა სპეციალურ ონკოლოგი-ური ექიმის გარდა ოჯახის ექიმსაც შეეძლება.

განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის ადრეული განვითარებისა და დღის ცენტრების მომსახურების პროგრამებში ჩართული ბენეფიციარების ტრანსპორტით მომსახურებისათვის ჩატარებული ვიზიტი (არაუმეტეს 8 ვიზიტისა) დაფინანსდება (თითო ვიზიტი არაუმეტეს 7 ლარისა), ხოლო ის ბავშვები, რომლებიც სხვა რეგიონში გადიან რეაბილიტაციის კურსს, ყოველთვიური სატრანსპორტო ხარჯი აუნაზღაურდებათ 100 ლარამდე. ბიუჯეტში 70 ბენეფიციარის ანაზღაურებაა გათვალისწინებული, რისთვისაც წლიურად 60 240 ლარია განსაზღვრული.

დაფინანსდებიან ის ბენეფიციარები, რომლებსაც ბინაზე ორგანიზაცია „კარიტასი“ ემსახურება. პროგრამის ფარგლებში ხდება მათი უზრუნველყოფა სანიტარულ-ჰიგიენური საშ-უალებით და ბინაზე მოვლის მომსახურებით.

ტიციან ტაბიძის და პაოლო იაშვილის საღამო შრომაში

სოფელ შრომის სკოლის ლიტერატურულმა სალონმა წარმოადგინა „ცისფერყანწელი ძმების„ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო „ პოეზიის ორი ქურუმი„ და აქტიურად ჩაერთო საბიბლიოთეკო კვირეულში. ეს იყო ერთობლივი ღონისძიება, სადაც ნორჩმა მკითხველებმა - სალონ „ივერიის“ წევრებმა გამოავლინეს ინტერესი სიმბოლიზმის მიმართ... მხატვრულად წაიკითხეს ლექსები, ამონარიდები მათი პირადი თუ კრიტიკული წერილებიდან...დაინახეს საინტერესო პარალელები ფრანგულ სიმბოლიზმთან.. გამოითქვა კრიტიკული მოსაზრებებიც..

საკრებულოს სხდომებზე მუდმივი ჩხუბი და დაპირისპირება

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 23 აპრილის სხდომაზე 11 საკითხი განიხილეს.

სიტყვიერი დაპირისპირება საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის **პავლე ჭყონიას** მიერ წარმოდგენილ 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვას მოჰყვა.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატმა **თათია ნიკოლაიშვილმა** წარმოდგენილი ანგარიში გააკრიტიკა და მას წარუმატებელი უწოდა, რადგან ნიკოლაიშვილის თქმით ინფრასტრუქტურული ნაწილი 60 პროცენტით იქნა ათვისებული, ხოლო ადმინისტრაციული ხარჯები, ანუ ხელფასების ნაწილში მუნიციპალიტეტმა 92 პროცენტი აითვისა.

— ბიუჯეტის საერთო შესრულება 72%-ია, ანუ ფაქტობრივად 2/3 ბიუჯეტის ვერ აითვისეს ინფრასტრუქტურა — 60%, ანუ ყოველი მეორე სამუშაო ვერ შეასრულეს სამაგიეროდ, წარმომადგენლობითი ხარჯი შეასრულეს — 92%-ით 700 ათასი მსუბუქი ავტომობილების შეძენაზე დახარჯეს.

ეს ხდება იმ მუნიციპალიტეტში, სადაც 62 826 ადამიანი ცხოვრობს და ყოველი მეორე ადამიანი ოფიციალურად, სოციალურად დაუცველთა ბაზაში არის რეგისტრირებული —აღნიშნა ნიკოლაიშვილმა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე **გიორგი ღურჯუმელიძემ** აღნიშნულ შეფასებას მტკნარი სიცრუე უწოდა. მან ნიკოლაიშვილს შეახსენა, რომ დავით კეზერაშვილმა 2008 წლის ომის შემდგომ 5 მილიონი მოპარა ქართულ ჯარს და ეს უნდა ახსოვდეთ. მისი თქმით ოპოზიცია საკრებულოს მუშაობაში, ბიუჯეტის დაგეგმვასა და მასთან დაკავშირებულ განხილვებში მონაწილეობას არ იღებს და შემდეგ, მხოლოდ, დესტრუქციულ ქმედებებს მიმართავს.

თავად ფრაქციაში დაპირისპირების, ხაბეიშვილის გუნდის წევრობა და კეზერაშვილის ქოლცენტრების მიერ ევროპელი პენსიონერებისთვის მოპარული მილიონების შესახებ დეპუტატ თათია ნიკოლაიშვილს საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე **ქეთი ხომერიკმაც** შეახსენა:

—როგორ არ გრცხვენიათ, კორუფციით ნაშონი ფულით ფინანსდებით! თქვენმა კეზერაშვილმა ევროპელ პარლამენტარებს მოპარა ფული, გაძარცვა და ახლა თქვენ გაფინანსებთ, რომ აქ იკივლოთ და იწივლოთ. ხაბეიშვილს მიხედეთ, მუხა რომ ვარო იძახის, რკო არ გამოისხას და ღორმა არ შეჭამოს...

ამის შემდეგ ისე აირია სიტუაცია, დარბაზში დაცვის პოლიცია გამოჩნდა.

—კითხვას ვსვამ, რატომ ვერ მოხერხდა 3 წლის განმავლობაში ნასაკირალის 3 კილომეტრი საავტომობილო გზის დასრულება? როცა ამის გამო საპროტესტო აქცია ჩაატარა მოსახლეობამ, ჩვენი ორი წევრი, საკრებულოს დეპუტატები დააკავა პოლიციამ. წამოდით და ნახეთ როგორ იშლება სოფელ მშვიდობაურში ერთი კვირის წინ გაკეთებული სკოლა.. რომ მოიტანეთ და ქალაქის ცენტრში რკინის კუბოები დადგით, მოაშორეთ აქიდან. მთელი საქართველო დავვცინის. ახალგაზრდობა ან ნარკოტიკულ საშუ-ალებებს ეტანება ან უცხოეთში გარბის. დაფიქრდით ამაზე.არ მინდა დავიჯერო, მაგრამ მაქვს ეჭვი კორუფციაშია ჩაფლული მთელი ოზურგეთის მთავრობა — ასე ემოციურად მიმართა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დეპუტატმა **გოჩა შარაშენიძემ** დავით დარჩიას და საკრებულოს სხვა წევრებს.

—არასწორს ამბობს გოჩა, ნახე რამდენი სკოლა და საბავშვო ბაღი აშენდა ოზურგეთში. თქვენს დროს რა გაკეთდა? როგორც ჩანს მშვიდო-ბაურის შემთხვევაში არაკეთილსინდისიერ მეწარმესთან გვაქვს საქმე. ასეთი რაღაცაებიც ხდება, თუმცა, ესეც გამოსწორდება. — შარაშენიძის ბრალდებებს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გელა არაშიძე** გამოეხმაურა.

—კი, მაგრამ, სანამ უნდა იჩხუბოთ? სულ კინკლაობაში ხართ ჩართული, სულ წარსულს იხსენებთ. წელიწადნახევარია სულ ეს მესმის. არც მომწონს მე დეპუტატების ასეთი დამოკიდებულება, ხალხი იცინის. რაღაც ხომ უნდა შეცვალოთ? —ნაციონალური მოძრაობის დეპუტატებისა მიერ დარბაზის დატოვების შემდეგ ასე მიმართა საკრებულოს პარტია „საქართველოსათვის“ დეპუტატმა **სოფო ქარცივაძემ** და მანაც დატოვა დარბაზი.

შემდეგ კი მშვიდ ვითარებაში საკრებულოს სხდომა გაგრძელდა და ყველა განხილულ საკითხზე მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

„ბახვი ჰესის“ კონკურსის ფარგლებში მთისპირისა და ჩხაკაურას სკოლების 18 მოსწავლე დაჯილდოვდა

დედამიწის დღესთან დაკავშირებით, რომელიც ყოველწლიურად 22 აპრილს მსოფლიოს 190 ქვეყანაში აღინიშნება, „ბახვი ჰესის“ ინიციატივით, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების, მთისპირისა და ჩხაკაურას საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის კონკურსი სახელწოდებით „დედამიწის დღე ყოველდღე“ წარმატებით ჩატარდა.

კონკურსში მონაწილეობა ორი სკოლის 81-მა მოსწავლემ მიიღო. დავალების თემა სახელწოდებით „დედამიწის დღე ყოველდღე“ სამ ასაკობრივ კატეგორიაში (I – IV, V – VIII, IX – XII კლასები) გადანაწილდა. დაწყებითი კლასების მოსწავლეებმა შექმნეს ნახატები, საშუალო კლასების მოსწავლეებმა პოსტერები, უფროსკლასელებმა კი, აღნიშნულ თემაზე ესე დაწერეს.

„ბახვი ჰესის სოციალური პროგრამის ძირითადი მიმართულებებია გარემოსდაცვა და განათლება. ამ კონკურსის საშუალებით, ერთი მხრივ, მოსწავლეებში გარემოსდაცვითი თემების მიმართ ცნობიერების ამაღლება, მეორე მხრივ კი, ჯილდოს სახით გამარჯვებულებისათვის ისეთი პრიზების გადაცემა გვინდოდა, რომელიც კვლავ მათ განათლებას მოხმარდებოდა. ვფიქრობ, ამ კონკურსმა ეს მისია შეასრულა. 81 მონაწილე საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. მადლობა მინდა გადავუხადო სკოლების დირექტორებს, ქალბატონ ნანა ჭეიშვილსა და ქალბატონ ალექსანდრა მარს, მათი და სკოლის მასწავლებლების დახმარების გარეშე რთული იქნებოდა ამ კონკურსის ჩატარება. მადლობა თითოეულ მონაწილეს. ვფიქრობ, ასეთი კონკურსები სტიმულია, გაუმჯობესო შედეგები და იზრუნო განვითარებაზე“— განაცხადა ბახვი ჰესის გარემოსდაცვისა და სოციალური საკითხების მენეჯერმა, **დავით კობერიძემ.**

ჩხაკაურას და მთისპირის საჯარო სკოლებმა დამოუკიდებლად მიიღეს კონკურსში მონაწილეობა. დაჯილდოების ღონისძიება ორივე სკოლაში გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდა „ბახვი ჰესის“ დირექტორი **გიორგი აბრამიშვილი,** კომპანიის გარემოსდაცვისა და სოციალური საკითხების მენეჯერი **დავით კობერიძე,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რესურს ცენტრის ხელმძღვანელი **ლელა იმედაშვილი,** მთისპირში მერის წარმომადგენელი **ვლადიმერ ჩავლეშვილი** და მთისპირისა და ჩხაკაურას საჯარო სკოლების პედაგოგიური კოლექტივი დირექტორების, **ნანა ჭეიშვილისა** და **ალესანდრა მარის** ხელმძღვანელობით.

ორივე სკოლაში თითოეულ ასაკობრივ კატეგორიაში სამი (I, II, III ადგილები) გამარჯვებული გამოვლინდა. კონკურსის ფარგლებში ორივე სკოლაში 9 და 10, ჯამში კი, 19 მოსწავლე დაჯილდოდა. ჩხაკაურას საჯარო სკოლაში პოსტერების კონკურსში მესამე ადგილზე ორი მოსწავლე გავიდა. კომპანია „ბახვი ჰესმა“ გამარჯვებულებს საჩუქრად ვაუჩერები გადასცა, რომელთა მეშვეობით ბიბლუსის ქსელში წიგნების შეძენა შეუძლიათ. დანარჩენ 62 მოსწავლეს კი, კონკურსში მონაწილეობის სერტიფიკატები დაურიგდათ.

„უკვე მესამე წელია „ბახვი ჰესის “პროექტების გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს წევრი ვარ. ეს სათათბირო ორგანო კომპანიამ 2021 წლის აგვისტოში დაფუძნა. ამ დღიდან მოყოლებული თითქმის ყოველთვიურ რეჟიმში იკრიბებოდა საბჭო და განიხილავდით საკითხებს, რომელიც საზოგადოების დიდი ინტერესის სგანი იყო — გარემოსდაცვა და სოციალური პროექტები. თითოეული პროექტის შესახებ გვაქვს ინფორმაცია, როგორ დაიგეგმა და რა მიზნები ჰქონდა კომპანიას, ამ პროექტების მოსახლეობისთვის შეთავაზებით. ჩვენი, საბჭოს წევრების მონაწილეობაც დიდი იყო დაგეგმვის პროცესში. 2023 წლიდან კი, მრჩეველთა საბჭოს წევრები, ჩვენი პროფილის მიხედვით, ჩართულები ვართ უკვე განხორციელების ეტაპზე. იქიდან გამომდინარე, რომ ჩემი სფერო გარემოსდაცვაა, აღნიშნული კონკურსის კურატორი ვიყავი და უნდა აღვნიშნო, რომ პროექტი ძალიან გამჭვირვალედ წარიმართა. გარემოსდაცვითი მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ადრეული ასაკიდან არის საჭირო. ამ პროექტით კი, სკოლის მოსწავლეებს მიეცათ საშუალება გამოეხატათ, გადმოეცათ თავიანთი ემოცია, თუ როგორ ესმით „დედამიწის დღე“ და როგორ უნდა ვიზრუნოთ ერთად დედამიწაზე“ — განაცხადა პროექტის კურატორმა, ბახვი ჰესის მრჩეველთა საბჭოს წევრმა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილების უფროსმა, **ლელა მდინარაძემ.**

მთისპირისა და ჩხაკაურას საჯარო სკოლების მოსწავლეების ნამუშევრები კომპეტენტურმა ჟიურიმ შეაფასა. ჟიურის წევრები იყვნენ, კომპანია „ბახვი ჰესის“ თანამშრომლები, მრჩეველთა საბჭოს რამდენიმე წევრი და ასევე, კომპანია ბახვი ჰესის მიერ მთისპირისა და ჩხაკაურას სკოლებისთვის შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის ტრენერები. ხმის მიცემა აბსოლუტურად გამჭვირვალედ წარიმართა. ნამუშევრების ავტორების ვინაობა ჟიურის წევრებისთვის არც ერთ ეტაპზე არ იყო ცნობილი.

დავით შემოქმედელის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო ოზურგეთში

ქ. ოზურგეთში, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, პოეტის, პროზაიკოსისა, ესსეისტის, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტის დავით შემოქმედების 70-წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.

დავით შემოქმედელი (ტაკიძე) არის სრულიად საქართველოს -რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი, ქართული კულტურის დესპანი, დავით აღმაშენებელის სახელობის აკადემიის საპატიო პროფესორი, არეართი ლიტერატურული პრემიის ლაურეატი, ოზურგეთის საპატიო მოქალაქე.

დავით შემოქმედელს ქართულ და უცხოურ ენებზე გამოცემული აქვს ლექსების, მოთხრობებისა და ესეისტური წერილების 24 წიგნი.

დავით ტაკიძე (შემოქმედელი) პროფესიით ინჟინერ-არქიტექტორია და წლების მანძილზე მუშაობდა ოზურგეთის საპროექტო ბიუროში თავისი სპეციალობით. შემდეგ იყო ოზურგეთის რაიონული კულტურის სახლის დირექტორი.

80-იანი წლების მეორე ნახევარიდან იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი იყო. ხელმძღვანელობდა სრულიად საქართველოს რუსთაველის სახელობის საზოგადოების ოზურგეთის ორგანიზაციას.

დავით შემოქმედელის 60 წლის იუბილე ქ. თბილისში, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა.

ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში დავით შემოქმედელის ლექსები წაიკითხა ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის მსახიობმა **ბელა კიკვაძემ.**

იუბილარ პოეტს მიესალმნენ: ოზურგეთის მერიის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი **ლალი სიჭინავა,** რომელმაც დავით შემოქმედელს მერიის სახელით პერსონალური სასაჩუქრე კალამი გადასცა; რუსთაველის საზოგადოების განათლების კომიტეტის თავმჯდომარე, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი **გიორგი გოგოლაშვილი,** რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ცნობილი ექიმი და პოეტი **მერაბ კვიცარიძე,** პედაგოგი **გივი გიორგაძე,** მხატვარი **ვახტანგ მამეიშვილი**, ჟურნალისტი **ნუგზარ ასათიანი,** ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის დირექტორი **ავთანდილ სურგულაძე,** საქართველოს მწერალთა კავშირის გურიის ორგანიზაციის თავმჯდომარე **გივი თავართქილაძე.**

საღამოში მონაწილეობდნენ ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები: „შვიდკაცა“, მომღერალი ლევან ნინიძე, „რეხეული“,ჯუმბერ დუნდუას სახელობის ქორეოგრაფიული სტუდიის მოცეკვავები.

დავით შემოქმედელის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო „შვიდკაცას“ „მრავალჟამიერით“ დასრულდა.

ტაო

ტაო – ცრემლები სულში გაწვიმდა,
ტაძრებია თუ სანთელი ზეცის,
აქ უსასრულო დუმილი მინდა,
  მაგლოვეთ ჩაშლილ თაღებთან ჩემთვის.
მე აქ წარსულმა შემომაკივლა,
ჩადრში ჩამალულ ცრემლებს ვმალავდი,
მუეძინის ხმით აყივლდა დილა,
სისხლო, ელვისფრად როგორ აალდი.
პაპის ძვლის გვერდით რა დამაძინებს,
გაძიძებული თუ მეგულები,
ნუთუ გარდასულ შენს ლამაზ შვილებს
არ ერქვათ შენთვის ნაერთგულევი.
სამშობლო... ელდა...იუდას ვერცხლი...
მამულს ცხელ სისხლით ვიწერ მაჯაზე,
წუხელ ზედაზენს ეკიდა ცეცხლი
დაჭრილი მთვარე ეგდო არაგვზე.
აქ ყოველ გოჯზე ვაბიჯებ სისხლში,
სამშობლოვ, გკლავენ!.. შეშლილი ვყვირი,
ეს ქართვლის ცისკრებს ჩეხავენ ნისლში
თუ ტაოს მიწას ბუნება სტირის.
ვკვდები...სიცოცხლე ვეღარ ელვარებს,
ვერც დაგიცავი, ვერც დაგიხსენი,
ცრემლით ჰკიდია ბებერ მწვერვალებს
გაფითრებული დროშა იბერის.
სულზე სიმწარე ისრით მეხება,
პონტოს ზვირთის ქვეშ ელავს ხედები,
დიდ ნენეს კერის კვამლი მეცხება,
წამში ათასი წლით გიბერდები.
აქ სისხლი სისხლით არის ნამული,
გულიდან ციხე-გუჯრებს ნთხეული,
სათოფურებში მოჩანს მამული,
ვით ნაისრალი უფლის სხეული.
ვეცემი შენს თბილ ფრესკებთან რიდით,
მე დედომკვდარი ქართველი მქვია,
და ჩემი შვილის თვალებშიც კივის
საქართველოსთვის ნასროლი ტყვია.

ვწერ

ვწერ: ღამემ ბინდი თავქვე დაიგო,
ხევში ზმორებით ზოზინებს ნისლი,
იქნება ახლა მაინც გაიგო,
სიკვდილო, შენთვის რომ ვეღარ ვიცლი.
ვწერ: სადღაც ღვარი გაბმით ქვითინებს,
სულ გაიგიჟეს ძეწნებმა თავი,
ამაღამ, ქარი რომ დაიძინებს,
მთებში იგუბებს დუმილი შავი ...
ვწერ: შევისახლე სხეულში სიტყვა,
ვწერ: შევრჩი ქალაქს მესიტყვე კაცი,
მე ვიღებ სიტყვებს სიტყვების ტყიდან,
მერე ყალბ სიტყვებს ლანცეტით ვაცლი.
ვწერ: კალმის წვერზე ჩიტი წრიალებს,
დღეა უმანკო და გაბუსხული.
ჭალებთან ურმის თვალი ჭრიალებს,
ბინდების ბუბუნს მოაქვს „ურმული".
ვწერ: დილამ სიოს სხივი გაუბა
ბროწეულისფრად წახეულ წარბის,
ზამთარს დამზრალი ბეჭი გაუთბა,
ლეშზე დაგეშილ მგელივით გარბის.
ვწერ: შენი ჟინი ისე მახურებს,
როგორც ზაფხულის სიცხე თაკარა,
მოსწყურებიათ მწიფარ ალუბლებს
ხევში ჩაჩრილი წყარო ანკარა.
ვწერ: მზე ზეცასთან, ვხედავ, დაზავდა,
გული ცრუ-მართალს იწყებს მისნობას,
ვწერ: მხრებით ვიჭერ სიტყვების ზვავს და
დუელში ვიწვევ მარადისობას...

ალსარება

/მეუფე თადეოზ იორამაშვილს/

რას მეტყვი, მამავ?! ვერ დავასრულე
წუთისოფელთან ჩემი წანწალი,
გეზი აუცდა ამ გზებს საუღლეს,
ჯიბრში მყავს ჯიქურ ბედი წაწალი.
რაც ვიცოდვილე, წრიალებს სულში
სულ ამიწეწა ფიქრის სამანი,
ვერ ჩავრგე ნერგი ზესიყვარულში,
ვერ ვამზეურე იასამანი.
მამავ, იქნება ეს გზაც ნისლია,
და მირაჟ-მირაჟ დავალ ცეცებით,
სანთლების შუქზე ლურჯი ბიბლია,
თითქოს ცის შემთბარ სამოსს ვეხები.
მზე ზეცას მკრთალი სხივით ლამბავდა.
სწუხდნენ ქარები, ნელი თუ მალი,
და თავქვე მედო უფლის ლაბადა,
მიწა, მზის თბილი თავსასთუმალი.
დავდივარ ასე სულის ხსნისათვის,
სიტყვების ზვავის დამატყდა თქეში
და ერთი ციდა სტრიქონისათვის
რამდენი ღამე ჩამადნა ხელში.
ხანდახან თითქოს სივრცე-მანძილი
წამში ჩემ თვალწინ უხმოდ დამთავრდა,
რას მეტყვი, მამავ?! როცა დაღლილი
სულს ძლივს ვიბრუნებ დედის საფლავთან...
გახიდული ვარ ცხოვრების ჯვარზე,
ხორცით ვცოდებ და ლექსით ვმარხულობ,
ჩემი ხმა ჩიტსაც არ ესმის გზაზე,
მაშ, სტრიქონ-ხილვებს რისთვის ვნახულობ?..
ახლა ცრემლ-ყინულ ბილიკზე დავალ,
ვით სხივი ბინდში ნაფერკმთალები,
და გზას ცისკრისკენ მიკვალავს, მამავ,
იესოს თბილი ნატერფალები...

***

სულეთის კართან მელოდე, დედა,
საცაა, გაწყდეს თოკი ლოდინის,
ეს რა გულსევდა დღე დამებედა,
დამძიმებულა დარდიც ლოდივით.

წუხელ შენს საფლავს შევახე ხელი,
შენს ხამ კაბაზე თბილს და სევდიანს,
ცრემლივით წვეთდა ნისლები სველი,
ცრემლიც უბედო თურმე ბედია.

შუკაში წკეპლით დარბის ბავშვობა,
კანჭებზე ჭინჭრის ელავს ალმური,
საფლავმა სულ სხვა ჟამი მაცნობა,
მე ვარო შენი ბოლო სადგური.

გადაუარეს წვიმებმა ბალახს,
სექტემბრის უხმო დილაა თბილი
და დედის საფლავს, ვით სანთლის ქანდაკს,
მორწმუნესავით ვეხები შვილი!..

დისადმი

(მალვინას)

ეზოს აკლია ჩვენი ბავშვობა,
განგების ნებით გადაკარგული...
ფიშტოდაცლილი ქორწილ-მაყრობა
და კრიმანჭული სხვენზე გაკრული .

ეხვევა თხმელებს დოლბანდი ბინდი,
კანდელ-წანდილით ჩათავდა მარხვა,
და ჭლექიანი ნესტი ამინდი
სახსარში დაგხრავს, ვით ბოსტნის მახრა.

სამოსად შაშვის შავმარმაშები
კედლის კალენდრის დუმილ-დარდები,
შემოსეული ყიზილბაშები,
ღობეს ახრჩობენ ეკალ-ბარდები.

საფლავი ბალახამოშლილობა,
გათვალულია ბედი ართვალით
საკურთხ-ნაკურთხი დედაშვილობა
და დაკემსილი ღამე სათვალით.

სამი ნაბზარი, სამი ჭრილობა,
ეს გულიც სამი ცივსაფლავია,
ამ ვარამცრემლთა შემოჭრილობას,
ამ სულთა გლეჯას, დაო, რა ჰქვია?!

სწუხან თელები დათალხულ ჩალმით,
ანწლებთან მწარედ ხარ მოწყენილი,
და წამიწერე თეთრ ნისლებს წალმით
მოსაკითხავი ჩემთვის წერილი.

ქარები შარა-სალახანები,
ბჟუჟის ჭალა რომ ჭილით მოფინეს,
ყელამდე იყო იმ წელს ყანები,
მთელი ზამთარი რომ ვიმყოფინეთ.

ბაღში შავფერა შინდის სურნელი
შვენობს, უშურო შენი მადლია,
რატომ იცინის ნუში სულელი,
რამ წამოჩიტა ასე ადრიან.

დავბრუნდი, დაო, მე – ბუმერანგი,
ამ ლექსს არ ვაცლი ჭრაქზე გაშრობას,
რომ ხსოვნის ნისლად თეთრი პერანგი
შემოვამშრალო შიშველ ბავშვობას...

ჩვენი იუდას მონოლოგი

/ნიკო ლორთქიფანიძეს/

ვყიდი, რაც რამ მაბადია,
თუკი ოდეს რამედ ვღირდი,
დედის გულს და მამის დაღლილ
მარჯვენს დათვლილ გროშად ვყიდი.

ბედიაში ბაგრატის სულს,
ცხუმს რომ პირველ ფუძედ ვთვლიდი,
კოლხის უნატიფეს ქალებს
რიზეს გზაზე ჩუმად ვყიდი.

ცრემლისხელა მოთბო მიწას,
ყელს რო აჭდეს სალტე დიდი,
კუთხე-კუთხე, ეზო-ეზო,
ყოველ გოჯ და მტკაველ ვყიდი.

პატივაყრილ ჩემს სამშობლოს,
ზე რო აზის ყველა ფლიდი,
ხონთქრის დავალების უმალ
სიცილ-სიცილ ვფცქვნი და ვყიდი.

რაც რომ მტერი მომეძალა,
ჩემს სულს ეშმაკისთვის ვწვრთნიდი,
ვდგავარ ახლა, ივერიის
ატირებულ ზეცას ვყიდი

გურია

მთებს ქვემოთ თოვლა ნისლის ფაფარი,
იწვა ვით მშვიდი ზღვა მოთენთილი,
შორს შემოქმედის თეთრი ტაძარი,
და მთები მთებზე შემოხეთქილი.

სამშობლო მხოლოდ ცრემლი არ არის,
ადიდგორებულ სპაზე დიდია,
მოითარეშებს ნისლთა ლაშქარი
მთებს და სამზეოს გზებით მიდიან.
აქ, ღვთის სადგომში რა დაგვაძინებს,
დადექ და ვარსკვლავთ კოცონი თვალე,
საცაა, ალბათ, ბეჭზე გავიდებთ,
გურიის მთებზე დაგდებულ მთვარეს.
ქარი კეცავდა სველ წიფლებს მაღლებს,
სუფრასთან ვჭექდით ოცი ფირალი,
და სულგაყიდულ ოხრანკის ძაღლებს,
ბედს აწყევლიდა ნასაკირალი.
გავტეხეთ პური, ორადნახადი
არაყი ფეთქდა, ვით თოფი ფილთა,
თითქოს ახადა ლექსმა ყავარი,
სატევარივით ვიშიშვლეთ სიტყვა.
მასპინძელივით ხარობდა ჭერი,
ერთსაც არ ერქვა ჩვენში სტუმარი,
გურული ნენას თავშალისფერი
ღამე კარებთან იწვა მდუმარი.
მთვარე მეგზურად მსურს რო ვიახლო,
ზეცა წმინდაა, ვით ანგელოსი,
გურია – უფლის ჯილდო ცის ახლო,
ამ ჩვენს ღვთის ნაღოც საქართველოსი.
.

პოეტი

ბწკარები ცრემლის მძივებად თოვდა,
რითმების მღვრიე ღარში დამფლავი,
ლექსი ზოგისთვის ძეგლი იყო და
ზოგისთვის – საძმო მცირე საფლავი.

შენ კი რა სნება აგიტყდა შარზე,
სიტყვებით ჯვარცმას რომ ვერ
ეხსნები,
დიდბატონების ცრუ კარნავალზე
დადიხარ შენი დარდი-ლექსებით.

სტრიქონის შუბი გეპყრა საომრად,
ფარას რომ ფარად ეფარვის მწყემსი,
წყევლა იყო თუ უფლის დალოცვა,
სულში რომ ჩადნა პირველი ლექსი.

ჩამოისამხრეს ნისლებმა ახლო,
როცა ცას პირველ სტრიქონს ჰპარავდი
და ლეგაქულა ლექსსამოსახლო
მეტაფორების გედგა კარავი.

ბავშვმაც იცოდი, სისხლს რა ნდომია,
პარნასის კართან ფრთით ასატანი,
რომ პოეზიაც თურმე ომია,
დიდგორის დარად გადასატანი!...

ამბავი ორი ესაძისა

დღეს, ანუ „ალიონისთვის" მორიგ სტატიას რომ ვწერ 2022 წლის 7 ნოემბერია.

7 ნოემბერი გამორჩეული თარიღია არა მხოლოდ ყოფილი სსრ კავშირის, არამედ თანამედროვე საქ-რთველოს ისტორიაში და მაინც, მე სულ სხვა ისტორია მინდა შევახსენო/გავაცნო „ალიონის" მკითხველებს.

მაშ ასე:ჯჯჰჰჰ

„არამატიანული" კალენდრით 1900 წლის 7 ნოემბერია და სწორედ ამ დღეს გამოდის გაზეთ „ივერიის" 243, სამშაბათის ნომერი.

გაზეთი არც მეტი არც ნაკლები, **მაქსიმე შარაძის** ამხანაგობის სტამბაშია დაბეჭდილი, თქმაც არ უნდა, იქვე შეგიძლიათ წაიკითხოთ ფელეტონ-სტატია სათაურით „იორის ბრძოლა 7 ნოემბერს 1800 წელს რუსს-ქართველთა ჯარისა ომარ ხანის ლეკთა ლაშქართან".

ფელეტონის ავტორი **ბორის ესაძეა,** იმხანად რუსეთის არმიის როტმისტრი და მეტად საინტერესო ბიოგრაფიის კაცი.

ბიოგრაფია, რომ იტყვიამ, ჩემზე იყოს, თუმცა მანამდე ჯერ „ილიას მატიანეს" უნდა „გადავწვდე", მერე კი, მიუხედავად სიდიდისა, სრულად მოგაწოდოთ ხსენებული სტატია.

„მატიანეს" კალენდრით 1900 29 მარტია.

სწორედ ამ დღეს, ილიას „ბორის ესაძე წარწერით უძღვნის მის მიერ გამოცემულ წიგნს „კავკასიის ჯარების საბრძოლო გმირობანი. კავკასიის სამხედრო-ისტორიულ მუზეუმში დაცული სურათების ალბომი", რომელიც 1899 წელს რუსულ ენაზე გამოცემული („Боевые подвиги кавказских войск. Альбом картинной галлерей Кавказского военно-историч. Музея", Изд. Б. С. Эсадзе. Тфл., 1899) და მასში რამდენადაც ვიცი, არაფერია ნათქვამი, ჩვენს მიერ ზემოთ ხსენებულ ფელეტონში აღწერილ „იორის ბრძოლასთან", რომელიც სწორედ 7 იანვარს გამართულა და გაზეთის 243 ნომრის გამოსვლის დღეს ზუსტად 100 წელიწადი შესრულებია.

„დღეს, 7 ნოემბერს, სწორედ ასი წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც მდინარე იორის ნაპირებზედ საქართველოსა და რუსეთის შეერთებულ ჯარს ბრძოლა ჰქონდა ავარიის ხან ომარის ურიცხვი ლაშქართან.

შავი და ბნელი დღეები დაუდგა საქართველოს მე-17 საუკუნის მიწურულში. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისაგან ჯერ კიდევ წელში არ გასწორებულ საქართველოს, უბედურება-უბედურებაზედ ატყდებოდა და, უიმისოდაც მისუსტებულ ერს, სამოლოოდ ძალა ეკლდებოდა და ღონე ელეოდა ყველას ამ დროს აღეძრა მდა: სპარსეთთან და ოსმალეთთან ერთად საქართველოს გაწეწვა და რამეს გამორჩენა ლეკებმა და მოსაზღვრე სახანოებმაც მოინდომეს".

მოინდომეს და მონდომებას, აბა, წინ რა დაუდგებოდა, მით უფრო. რომ „ამ უბედურებას შინაური უთანხმოებაც ზედ დაერთო, სამეფო საგვარელოს წევრთა შორის ერთობა არ არსებობდა, ერთმანერთის ჯიბრსა და ჩხუბში ატარებდნენ დროს, ერთი მთვანი გიორგი XII-ს ძმა ალექსანდრე მეფესაც კი გადაუდგა. ბატონიშვილმა ალექსანდრემ ყაზახის პროვინცია მოითხოვა, ხოლო რადგანაც უარი მიიღო, იგი ჯერ ოსმალეთის საზღვრისაკენ წავიდა, შემდეგ სპარსეთში გაიქცა და, ბოლოს, შეუერთდა მამაც ომარს, ავარიის ხანს, რომელიც მხოლოდ ასეთ მარჯვე შემთხვევას ეძებდა საქართველოში შესასევად და მხვრეთა დასარბევად. სპარსეთი თუმცა დიდი უკმაყოფილო იყო მეფისა რუსეთთან დაკავშირებისათვის, მაგრამ ჯერ იმედს მაინც არა ჰკარგავდა და სცდილობდა საქართველოს დამორჩილებას და თავისს პროვინციად გახდომას. ამ დროს ტფილისში ელჩიც-კი ჰყოლია სპარსეთის ახალ შაჰის, აღა-მაჰმად-ხანის მემკვიდრის, ბაბახანისა გან და შაჰის სახელით სრული მორჩილება მოსთხოვა მეფეს. მაგრამ მეფე გიორგი XII-მ უარი უთხრა და გამოუცხადა, რომ საქართველო რუსეთის იმერატორის მფარველობის ქვეშ იმყოფებაო".

აი, ხომ ხედავთ და გესმით, სწორედ ასეთი ამბები ხდებოდა ბევრი წლის წინ ჩვენს ქვეყანასა და მის საზღვრებს გარეთ კი არა, უფრო საზღვრებთან.

საზღვრებთან განვითარებულ მოვლენებს ფელეტონის ავტორი კიდევ დაუბრუნდა, ბუნებრივია, არც მე ჩამოვრჩები და ამასვე ვიზამ, თუმცა მანამდე ამბავი „ბატონიშვილის ალექსანდრესი"...

„ამაზედ წინად ბატონიშვილის ალექსანდრეს მეცადინეობ-ით სპარსეთის ჯარი, ამაზ მირზას მეთაურობით, საქართველოსაკენ გამოემართა, მაგრამ საქმე ბრძოლამდე აღარ მისულა: სპარსეთის ჯარი ერევნის გუბერნიაში შევიდა, გაძარცვა იქ 1800 წელს ეჩმიაძინის მონასტერი, წაიღო იქიდან 70 ათასი მანათი და უკანვე დაბრუნდა. შეშინებულმა გიორგიმ შეშფოთების სათხოვნელად ოსმალეთის სულთანთან ელჩიც-კი გაჰგზავნა, თავადი ორბელიანი. მაგრამ ამ დროს რუსეთიდან ჩამოვიდა გიორგის შვილი, ბატონიშვილი დავით და ამბავი მოიტანა, რომ იმპერატორი პავლე მფარველობასა და ჯარის მოშველას დაგვპირდაო. თუმცა ამ დროს ტფილისში უკვე იყო, გენერალის ლაზარევის უფროსობით, მცირე რაზმი რუსეთისა, მეფის ხელახალის თხოვნის შემდეგ, იმპერატორმა უბრძანა ჩრდილოეთ კავკასიიდან სხვა ჯარიც წასულიყო — ყაბარდიის მუშკატერთა რაზმი არტილერიით და 100 ყაზახი, გენერალ-მაიორის გულიაკოვის უფროსობით. მოზდოკიდან ეს რაზმი 25 აგვისტოს გამოვიდა, ხოლო ლისში 23 დეკემბერს ჩამოვიდა. მეფე, სამეფო გვარეულობის წევრნი, წარჩინებულნი, გენერალი ლაზარევი თავისის ეგერებით და დიდ-ძალი ხალხი ახლად მოსულ რაზმს ტფილისიდან სამის ვერსის მანძილზედ მიეგებნენ და ყველანი სიხარულს მიეცნენ. ჯარი სწორედ დროზედ ჩამოვიდა, რადგანაც ბატონიშვილმა ალექსანდრემ მას შემდეგ, რაკი შაჰი ვერ დაიყოლია საქართველოში შემოსასევად, მიჰმართა ავარიის ხანს ომარს, რომელიც უკვე მეომრებსა ჰკრებავდა საქართველოსაკენ წამოსასვლელად.

ომარს დიდი სახელი ჰქონდა დაღესტანში გავარდნილი. იგი ყველგან ცნობილი იყო მოხერხებულ და მამაც მეომრად. ომარის ერთ დაძახებაზედ მთელი დაღესტანი იკრიბებოდა და ემზადებოდა ხოლმე სალაშქროდ.

1800 წლის აგვისტოს ომარი დიდ ძალის მეომრებით დაეშვა დაღესტანის მთებს, ს. ბელაქანთან დაბანაკდა და იქიდან სასყიდელი მოითხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში შემოვესევი კახეთსაო, შემოუთვალა მეფეს. ოქტომბერს ომარ-ხანთან ბატონიშვილი ალექსანდრეც მივიდა, და ორივემ ერთად შეიმუშავეს გეგმა ტფილისზედ თავს დასხმისა ორის მხრიდგან.

ИСТОРИЧЕСКАЯ ЗАПИСКА

ОБ ОБЪ

УПРАВЛЕНІИ КАВКАЗОМЪ.

ТОМЪ II

ТФИЛИСЪ

1901.

ქართველები მაშინვე მზადებას შეუდგნენ, რაწამსაც ომარის ჯარის მოახლოვების ამბავი გავრცელდა. გენერალი ლაზარევი პირველ ხანს არ აპირობდა ჯარის გაგზავნას ლეკების წინააღმდეგ, რადგანაც ჰფიქრობდა, რომ მარტო საქართველოს ჯარი გაუძღვება მტერსაო, მაგრამ როდესაც გი-ორგიმ სთხოვა, გადასწყვიტა დახმარება. 28 ოქტომბერს ლაზარევი თავისის ჯარით გაემართა ტფილისიდან სიღნაღისაკენ, სადაც ამ დროს უკვე თავს იყრიდნენ ქართველთა ქვეითა და ცხენოსანი მეომარნი,

რუსეთის ჯარი შესდგებოდა ორის ბატალიონისა დ 100 ყაზახისაგან. სულ ამ ჯარში 43 ოფიცერი და 1224 ჯარის-კაცი იყო. ამას გარდა რუსებს 4 ზარბაზანიცა ჰქონდათ.

ლეკები კახეთში შევიდნენ და ალაზნის მარჯვენა ნაპირზედ დაბანაკდნენ. ომარ-ხანმა გადასწყვიტა პირდაპირ ტფილისს წასვლა. იმას უნდოდა 2000 კაცით საგარეჯო დაეჭირა, რომელიც ტფილისიდან 50 ვერსის მანძილზედ მდებარეობს, და ნარჩენის ჯარით-კი იორის მხრიდგან შეჰსეოდა ტფილისს: ერთი ნაწილი მტკვრის მარცხენა მხრიდგან, მეორე მტკვარს უნდა გასულიყო და იქიდგან შესულიყო ტფილისში.

1 ნოემბერს ლაზარევი სიღნაღში ჩავიდა. რათა სისხლის ღვრა თავიდგან აეცდინა, ლაზარევმა მოლაპარაკება დაუწყო ომარ ხანს და სთხოვა, უომრად გასცლოდა საქართველოს. მაგრამ ომარმა, რომლის ჯარიც ამ დროს თითქმის 15 ათასს კაცს აღემატებოდა, არ შეისმინა გე ნერლის რჩევა და უწინდელებრ გზა განაგრძო: იგი ალაზანს გავიდა და ს. ყარა-აღაჩთან დაბანაკდა, თუქურმიშის მახლობლად.

ამ დროს ქართველები და რუსებიც შეერთდნენ. ქართველთა ჯარი სულ 3 ათასს ქვეითა და ცხენოსან მეომართაგან შესდგებოდა. უფროსობდნენ ჯარს ბატონიშვილები ბაგრატ და იოანე. ქართველ-რუსთა შეერთებული ჯარი სიღნაღიდგან ციგომბორის მაღლობებით გაემართა და სოფელ პრასიანთან დაბანაკდა. ლაზარევმა და ბატონიშვილებმა, რაკი დინახეს, რომ ომარი თავისას არ იშლიდა და მშვიდობიანად საქართველოდგან გასვლას არ აპირებდა, გადასწყვიტეს თვით მეტასანთ პირველთ იერიში და თვით დასცემოდნენ მტერს. ამ აზრით ბატონიშვილები, ლაზარევი და გულიაკოვი თავიანთის ჯარით 5 ნოემბერს ხელახლა აიშალნენ და მტრის ბანაკიდგან 6 ვერსის მანძილზედ დაგნენ.



მეორე დღეს, იმპერატორ პავლეს ტახტზედ ასვლის წლის თავზედ, სწორედ იმ დროს, როდესაც ამის გამო ბანაკში პარაკლისს იხდიდნენ, ქართველმა დარაჯებმა შეატყობინეს გენერალ ლაზარევსა და ბატონიშვილებს, რომ მტერმა ჯერ ისევ გათენებამდე მარცხნივ მოუარა ჩვენ ბანაკს და მდინარე იორისაკენ დაიჭირა გზაო. ლაზარევმა და ბატონიშვილებმა დიდხანს აღარ დააყოვნეს: მაშინვე აშალეს ჯარი და მტერს ფეხ-დაფეხ გამოუდგნენ იმავე გზით, რა გზითაც ომარ-ხანი მოდიოდა. აზრადა ჰქონდათ ზურგიდგან დასცემოდნენ მტერს, ბრძოლაში ჩაეთრიათ იგი და ამ რიგად ტფილისისაკენ აღარ გაეშვათ. მაგრამ, სამწუხაროდ, ცოტა ხანს უკან ამ გზით ბუჩენარისა და ხრამების გამო ზარაზნების ტარება შეუძლებელი შეიქნა: ჯარი თითქმის დაეწია კიდეც მტერს, როდესაც ხრამებსა, გორაკებსა და ბუჩენარს წაწყდა, რის გამო ამ დღეს ბრძოლა ველარ მოხდა. ბატონიშვილმა იოანემ სხვა გზა უჩვენა ჯარს, რომლითაც ადვილად შეიძლებოდა ივრის ველზედ გასვლა. გენერალმა ლაზარევმა სურსათის ურემები და 100 ჯარისკაცი სოფ. პრასიანში დასტოვა, დანარჩენი ჯარი აჩქარებულის ნაბიჯით ივრის ხეობისაკენ წაიყვანა.

მეორე დღეს რუს-ქართველთა ჯარი აჩქარებულისავე ნაბიჯით 15 ვერსტს გასცდა, ცოტა ხნის შესვენების შემდეგ გაშლილ ივრის ვაკეში გავიდა და მდინარისაკენ გაემართა. მტერი უკვე იორის მარჯვენა მხარეს გადადიოდა. რუს ქართველთა ჯარმა მალე თვალი მოჰკრა ომარ ხანის ლაშქარს, რომელიც შავი ნისლივით მოსდებოდა არე-მარეს. შორს ტყის ძირში მტრის ბანაკიც მოსჩანდა. რუსებმა და ქართველებმა ერთი-ორად უფრო აუჩქარეს ფეხს. მტერი ძალიან გაჰკვირდა, როდესაც დაინახა მდინარისაკენ დაქანებული რუსის მხედრობა, რომელსაც უკან ქართველები მისდევდნენ. განცვიფრებულმა ომარმა წინამძღოლნი მიწვია და სამხედრო თათბირი გამართა. ამ თათბირის დროს ჰყვიროდნენ, ჩხუბობდნენ, მაგრამ გადაწყვეტილებას ვერავითარს ვერ დაადგენენ. ბოლოს უმრავლესობამ (ზოგს მოლაპარაკების დაწყება უნდოდა) ბრძოლა გადასწყვიტა. მალე წინამძღოლებმა უბრძანეს კიდეც მეომრებს გაღმა გასულიყვნენ და დაღმართზედ დაშვებულ ლაზარევის ჯარს დაჰხვედროდნენ.

რუს-ქართველთა ჯარი ამნირად იყო გაწყობილი: მარჯვენა ფრთეს ეგერთა მე-17 რაზმის ბატალიონი შადგენდა, რომელსაც თვით გენერალი ლაზარევი უფროსობდა. მარცხენა მხარეს, გენერალ-მაიორის გულიაკოვის უფროსობით, მუშკატერთა ბატალიონი იდგა, ხოლო შუა გულში — ქართველთა ჯარი, ბატონიშვ-ილების ბაგრატისა და იოანეს უფროსობით, წინ ქვეითა მეომარნი იდგნენ, უკან ცხენოსანნი. ქართველები ნაკლებად იყვნენ შეიარაღებულნი, ზოგს თოფიც კი არა ჰქონდა, როდესაც ლეკები მდინარის მარცხენა მხარეს გადავიდნენ, მათმა ცხენოსანთა ჯარმა ერთის ზარითა და ზეიმით იერიში მიიტანა მარჯვეანა ფრთეზედ, რომელსაც გენერალი ლაზარევი უფროსობდა, მაგრამ მამაცმა ეგერებმა დროზედ მოიმარჯვეს თოფები და ზარაზნები და იმის გარდა, რომ მრავალი იქვე დაწვინეს, ზედ მოსული კავალერია უკან დასწიეს. რა კი აქ ველარაფერი გაწყეს, ცხენოსანმა ლეკებმა ლაზარევის ჯარს მოუარეს და ახლა უკან მდგომ ქართველთა ცხენოსანთ მიესივნენ. მაგრამ ვერც იქ გაწყეს რამ: ქართველმა ცხენოსნებმა მამაცურის შეტევით უკანვე დასწიეს მტერი. ამასთან მარცხენა მხრიდგან მუშკატერებმა დაუშინეს მტერს ტყვიები და ყუმბარები, ლეკები საშინლად შეშინდნენ, ერთმანეთში აირივ დაირივნენ და, სამოლოოდ დამარცხებულნი, უგზო-უკვლოდ გაიფანტნენ. ბრძოლა, რომელმაც სამი საათი გასტანა, ლეკთა სრულის დამარცხებით დასრულდა რუს-ქართველთა ჯარის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა; ორის კვირის ტანჯვაწვალების შემდეგ მეომარნი სიხარულით ულოცავდნენ ერთმანერთს გამარჯვებას. მტერმა 20-00 კაცამდე დაჰკარგა ამ ბრძოლაში. თვით ომარმა, დაჭრილმა და ბოლმით მოკლულმა, ათის კაცით ძლივს მოა ხერხა სოფელ ჯარისაკენ გაქცევა. რუსებმა და ქართველებმა მხოლოდ რამდენიმე კაცი დაჰკარგეს.

გამარჯვებულმა ჯარმა ღამე იორის მარჯვენა მხარეს გაათია, სოფელ კაკაბეთის მახლობლად.

ნოემბერს ჯარი ტფილისში დაბრუნდა. ქალაქს გარედ გამარჯვებულთ მეგებენენ თვით მეფე გიორგი, სამღვდელოება, კარის კაცნი და წარჩინებულნი მეფე ცხენიდგან ჩამოხტა და ფეხით შეუძღვა ჯარს ქალაქში. აუარებელი ხალხი სიხარულით და აღტაცებით ეგებებოდა მტრის გამანადგურებელთ.

გამარჯვების ამბავი როგორც თვით მეფემ, აგრეთვე ლაზარევმა პეტერბურგს იმპერატორს აცნობეს. ჯილდოდ იმპერატორისაგან ლაზარევმა, გულიაკოვმა, ბატონიშვილებმა ბაგრატმა და იოანემ კამანდორის ჯვრები ორდენის წმ. იოანე იერუსალიმელისა მიიღეს. მოხსენებაში ლაზარევი განსაკუთრებით შეაქებს რუსთა ჯარის შემდეგ აფიცრებს: კაპიტნებს ტავანოვსა და ზუკოვს, შტაბს-კაპიტნებს იაკიმოვსა და პოკატაევს, მაიორებს თავად საკაძესა და ლიახოვს, პორუჩიკებს გოლოვანევსა, დიაჩკოვსა და ტიმაშევს, პოდპორუჩიკებს კარევსა და კარაჩევს, იუნკერს ავად ანდრონიკაშვილს და სხვათა.

გიო კილაძე

ექიმ გერმანე გოგიბერიძის გახსენება

ოზურგეთის ექიმთა საზოგადოებას ერთ-ერთი ღირსეული ექიმი **გერმანე გოგიბერიძე** ამშვენებდა.

გერმანე გიგიბერიძემ მეტად რთული და მძიმე, შინაარსიანი და მრავალფეროვანი ცხოვრებისეული გზა განვლო.

ის დაიბადა 1918 წლის 26 აპრილს სოფელ შემოქმედში, მოსიყვარულე მშობლების ოჯახში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ბათუმის სამედიცინო ტექნიკუმში, ხოლო 1937 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, სამკურნალო ფაკულტეტზე. იყო წარჩინებული სტუდენტი.

სამამულო ომის დაწყებასთან დაკავშირებით გაწვეულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში, იმყოფებოდა პოლკის სამხედრო ექიმის თანამდებობაზე.

სისხლისმღვრელი ომის დროს ბატონი გერმანე გოგიბერიძის დანაყოფი მოექცა ტყვეობაში. იმყოფებოდა ავსტრიაში, ტყვეთა ბანაკში. ის, როგორც ექიმი, ბევრ შემთხვევაში ახერხებდა ავადმყოფი ტყვეებისადმი დახმარებას, მან ბევრი ჯარისკაცის სიცოცხლე იხსნა. ტყვეობაში ყოფნის დროს გაიცნო და ცოლად შეირთო უსათნოესი ქალბატონი ანა გორდიენკო, პროფესიით პედაგოგი. შეეძინათ სამი ულამაზესი ქალიშვილი.

გერმანე გოგიბერიძე 1946 წელს დაბრუნდა სამშობლოში. როგორც საქმის მცოდნე და კარგ სპეციალისტი მალევე დააწინაურეს რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმის პირველ მოადგილედ, სადაც კიდევ უფრო გამოვლინდა მისი ღრმა ცოდნა, ორგანიზატორული მუშაობის დიდი ნიჭი და უნარი.

ის იყო უაღრესად პრინციპული, მომთხოვნი და ამავე დროს გულისხმიერი ადამიანი. ცალკე აღნიშვნის ღირსია, როგორც ბრწყინვალე კლინიცისტის და პედიატრის დამსახურება. მრავალ ბავშვს შეუნარჩუნა სიცოცხლე, ბევრი მადლიერი პაციენტი ჰყავდა ბატონ გერმანეს. ამას ის აღწევდა მედიცინის დარგში, ყოველი ახალი სიტყვის პრაქტიკაში დანერგვით და გამოყენებით. სამედიცინო საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის გერმანე გოგიბერიძეს მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის წოდება. ის იყო ერუდირებული, ღიმილის კაცი და საზოგადოების კოლორიტი, ოზურგეთის სამედიცინო საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი.

გერმანე გიგიბერიძე 1998 წელს გარდაიცვალა 80 წლის ასაკში. მისი გენი და საქმე გრძელდება მისი ქალიშვილების და შვილიშვილების კეთილ საქმეში. ბატონი გერმანეს დამსახურებაა სამშობლოს, ქალაქის, საზოგადოების და ოჯახის წინაშე, მისაბაძ ნიმუშად იქცეს, განსაკუთრებით ახალგაზრდებისათვის და ჩვენი ვალია გვახსოვდეს ამაგდარ ექიმი და ღირსეული პიროვნება.

მეგობრები.

ავთანდილ ჩავლეშვილის გახსენება



ერთი წელია ავთო ჩვენგან წავიდა. თურმე, საკუთარ გულსაც სცოდნია ღალატი. გულს, რომელიც სავსე იყო ადამიანებისადმი სიყვარულით, სათნოებით.

ღირსეულად მოიხადა ვალი ოჯახის, ახლობლების, ქვეყნის წინაშე. იბრძოდა აფხაზეთში, თესდა სიკეთეს, იყო სტიქაროსანი, ახალგაზრდების გულშემატკივარი და დამრიგებელი. შეუდარებელი მამა, მეუღლე და ბაბუა.

ახლახან 75 წელი შეუსრულდა, რომელიც მტკივნეული იყო ჩვენთვის, მისი ახლობლებისათვის. მოვიგონეთ, მადლობა ვუთხარით, და ასე იქნება დიდხანს, ძალიან დიდხანს, რადგან ის იყო გამორჩეული, ყველასთვის საყვარელი ადამიანი.

ციური ჩანჩიბაძე

სამგლოვიარო განცხადება

გაზეთ „ალიონის" რედაქცია თანაუგრძნობს ლადო და ედიშერ ჭელიძეებს დედის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის, პროფესორ **ნათელა ჭახნაგიას** გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ალიონის" რედაქცია თანაუგრძნობს როინი გოგოტიშვილს დედის **ნათელა გოგოტიშვილის** გარდაცვალების გამო.

სკანვორდი

- ბალეტის შემსრულებელი
- ლეგენდარული მსახი
- იტალიური დესერტი
- დედამიწის უმაღლესი მწვერვალი
- ციტრუსი
- საღვთო ცეცხლი
- დროებითი სარგებლობა
- ქიმმიში
- წარმომავლობა, მემკვიდრეობა
- ბალახის სახეობა
- ამერიკის თავდაცვითი ორგანიზაცია
- ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი
- ჯარი
- საფეხბურთო ასოციაცია
- მათემატიკური გამოთვლა
- ვარსკვლავების ჯგუფი
- სვა ანუ
- ხმელეთის იერსახე
- არქეოლოგიის სამეგრელოში
- ოქროს
- ქართული დამწერლობის სახეობა

პასუხები:

ავტოკეფალისტური მოძრაობა 1905-1906 წლებში



განსხვავებული შეხედულებები ჰქონდა საქართველოსა და მისი ეკლესიის წიაღში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით რუს მეცნიერ ივან სოკოლოვს. ცხადი იყო, სოკოლოვი ქართველი სასულიერო პირებისა თუ სწავლულების მოსაზრებას არ იზიარებდა და თავისი შეხედულების დასაბუთებას ასე ცდილობდა: "ჩემს მოსაზრებას ვერ შეარყევს ეპისკოპოს **ლეონიდის** მითითებები იმის თაობაზე, რომ ათასობით ინგუში და ოსი განანათლეს ქართველმა მისიონერებმა. ეს მოვლენა არაა დადასტურებული და არც საქართველოს ეკლესიის შინაურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს ეხება. საღვთისმსახურო წიგნებზე ჩემს მოხსენებაში მრავალია ნათქვამი. უცნაურია იმაზე საუბარი, რომ საეკლესიო გალობა საქართველოში არასოდეს ჩამქრალა. ეპისკოპოს ლეონიდის მტკიცება იმის თაობაზე, რომ თბილისსა და თელავის სემინარების დახურვის შემდეგ ქართველებს ჰქონდათ სკოლა, სადაც ღვთისმეტყველებასა და ფილოსოფიას ასწავლიდნენ, ეწინააღმდეგება ანტონ II-ის ოფიციალურ განცხადებას რუსეთის ხელისუფლებისადმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ასეთი სკოლები XVIII საუკუნის ბოლოს საქართველოში არ ყოფილა. უსამღვდელოესი ლეონიდის მიერ სახარების კითხვასთან დაკავშირებით აღნიშნული განმარტება ივიეა, რაც ადრე ითქვა ანტონ ვოლინელის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით, ხოლო იმის აღნიშვნას, რომ ანალოგიური ვითარება იყო რუსეთის ეკლესიაში, საქმესთან არანაირი კავშირი არ აქვს. რაც შეეხება ეპისკოპოს ლეონიდის პათეტიკურ შეკითხვას, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, თუ ამ კითხვაზე პასუხს თავად ორატორისგან მოვისმენდით. შეკითხვა არალოგიკურია და არც ჩემს მოხსენებას უკავშირდება. საბოლოოდ, არც იმას ვამტკიცებ, რომ განათლება საქართველოში სრულიად დაეცა. დაწყებითი სკოლები იყო, მაგრამ საშუალო სკოლები არ ყოფილა".

ასეთ პასუხს არ გაუკვირვებია ქართველი მღვდელმთავარი, მაგრამ საინტერესო იყო, თუ რატომ თვლიდა სოკოლოვი დაწყებით სკოლებად ისეთ სასწავლებლებს, რომლებშიც ფილოსოფია და ღვთისმეტყველება ისწავლებოდა. რუსი მეცნიერის აზრით, ამ ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტები არ არსებობდა. პოლემიკაში ეპისკოპოსი კირიონიც ჩაერთო, რომელმაც აღნიშნა, რომ საშუალო სკოლების არსებობა იმ დროის აქტებში ოფიციალურად იყო დადასტურებული. უსამღვდელოესმა კირიონმა დაასახელა ის სასწავლებლები, რომლებიც იმ დროს ფუნქციონირებდა. ესენი იყო: თელავის, თბილისისა და მცხეთის სემინარიები.

4. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის თაობაზე გადაწყვეტილების მომზადება და მიღება. 1906 წლის 12 დეკემბერს მუშაობა განაგრძო რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებამ (სექციამ), რომელსაც თავმჯდომარეობდა ლიტვისა და ვოლინის მთავარეპისკოპოსი **ნიკანდრი (ნიკოლაი ფენომენოვი).** კრებას ესწრებოდნენ: უსამღვდელოესი **სტეპანი** - მოგილიოვის ეპისკოპოსი; დეკანოზები: **იოან ვოსტორგოვი, ტიმოფეი ბუტკევიჩი, ი. ი. კოალოვიჩი; მღვდელი ტ. ვ. კოზლოვსკი; პროფესორები: ფიოდორ ტიტოვი; ალექსანდრ ბრილიანტოვი, მიხაილ ოსტრ-ოუმოვი, ნიკოლაი გლუბოკოვსკი, ივან სოკოლოვი, ალექსანდრ ალმაზოვი, ილიაბერდნიკოვი, , ნიკოლაი ზაოზერსკი, ნიკოლაი ივანოვსკი, ივან პალმოვი**. სხდომის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ ასევე რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის თანაშემწე **ა. პ. როგოვინი** და სინოდალური კანცელარიის მმართველი **ს. პ. გრიგორევსკი.** სხდომა გაგრძელდა საღამოს 11 საათამდე. ეს იყო ერთადერთი სხდომა, რომელსაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვისას არ ესწრებოდა არც ერთი ქართველი მღვდელმთავარი და მეცნიერი.

სხდომაზე მოისმინეს აშკარა ანტიქართული განწყობილების პროფესორის **ალექსანდრ ალმაზოვის** მოხსენება, რომელშიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი კანონიკური კუთხით იყო განხილული. მთავარეპისკოპოსმა **ნიკანდრმა** დამსწრეთ შესთავაზა ემსჯელათ ამ მოხსენების თაობაზე. პროფესორ **ნიკოლაი ზაოზერსკი** არ იზიარებდა ალმაზოვის მოხსენებაში წარმოდგენილ დასკვნებს. პრო ზაოზერსკის მოხსენება ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა იმის გამო, რომ რუსი მეცნიერი აშკარად დაუპირისპირდა ანტიქართული განწყობილების რუს სასულიერო პირებსა და მეცნიერებს. ზემოაღნიშნულის გამო პროფესორ ნიკოლაი ზაოზერსკის გამოსვლის ტექსტს თითქმის სრულად წარმოვადგენთ:

„ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის თაობაზე, როგორიც არის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, არ მაქვს უფლება, გამოვთქვა მხოლოდ ჩემი ისტორიული მოსაზრება, რომელსაც ეწნება ისეთი ღირებულება, როგორსაც ეს მეტად საყურადღებო საკითხი მოითხოვს მისი კანონიკური თვალსაზრისით გაშუქებისათვის.

ჩემი მიზნიდან გამომდინარე, შევეცდები უპირველესად ის საეკლესიო კანონმდებლობა და საეკლესიო-ისტორიული პრაქტიკა მიმოვიხილო, რომელიც ამ საკითხის გადასაწყვეტად არის აუცილებელი. შემდგომში ამ მასალებს გამოვიყენებ იმ მოვლენების შესაფასებლად, რომლებიც საქართველოს ეკლესიის ისტორიისათვის არის დამახასიათებელი და უხვად არის მოყვანილი დეკანოზ ტ. ი. ბუტკევიჩის, ნ. ი. მარის, ი. ი. სოკოლოვისა და ა. ა. ცაგარლის მოხსენებებში.

მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც თავისი დამარსებლის ჭეშმარიტებისა და სამოციქულო წერილის ერთგული მცველია, ერთობ შემწყნარებლურად ეპყრობა ეკლესიის ცალკეული ნაწილების თავის-უფალ ქმედებებს, კერძოდ, ავტოკეფალიის მქონე ეკლესიების მოლვაწეობას, კიცხავს ერთის მეორეზე ბატონობას, ისევე როგ-ორც საერო ხელისუფლების ქედმაღლ-ობას. სხვადასხვა ადგილობრივი ეკლესიების დამოუკიდებლობას, - ამბობს უსამღვდელოესი ნიკოდიმოსი, - რომლებიც ქმნიან ერთიან მსოფლიო ეკლესიას, გაჩნია თავისი საფუძველი როგორც წმიდა წერილში, ასევე ყველაზე ადრინდელ საეკლესიო საკანონმდებლო აქტებში. ეკლესიის დამარსებელმა თავის მოციქულებს მოუწოდა, ექადაგათ სახარება ყველა ერისათვის, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობისა. მოციქულებმაც სხვადასხვა ქვეყანაში დაარსეს ეკლესიები, დაადგინეს მოძღვრები, რომლებსაც უფლება მისცეს, ადგილობრივი საზოგადოებრივი პირობებისათვის შეეთავსებინათ რელიგიური ურთიერთობები. და, ამრიგად, უკვე მოციქულთა სიცოცხლეშივე მოხდა რამდენიმე ეკლესიის დაარსება სრული დამოუკიდებელი მმართველობით. ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო საეკლესიო კრებები საკანონმდებლო თანმიმდევრობით ამტკიცებენ ადგილობრივი ეკლესიების კერძო უფლებებს, ტრადიციებსა და დამოუკიდებლობას. ივივე კრებები კანონებზე დაყრდნობით მიუთითებენ იმაზე, თუ რაში ვლინდება ადგილობრივი ეკლესიების დამოუკიდებლობა. კერძოდ: ა). ერთი ეკლესიის იერარქიული დამოუკიდებლობა მეორე ეკლესიისადმი (III მსოფლიო საეკლესიო კრების მე-8 კანონი); ბ) ერთი ეკლესიის იერარქიული უფლებები, უპირატესობა სხვებთან შედარებით (I მსოფლიო საეკლესიო კრების მე-7 კანონი და IV მსოფლიო საეკლესიო კრების 28-ე კანონი); გ) ადგილობრივი ეკლესიებ-ისათვის დამახასიათებელია ტრადიციები და ადათ-წესები. თუმცა ადგილობრივ ეკლესიებს, აღიარების მიუხედავად, ნებას არ აძლევენ: ა) ჩამოაყალიბონ სარწმუნ-ოებაში ახალი სწავლებები, ანდა უგულებელყონ საერთო სწავლებები (III მსო-ფლიო საეკლესიო კრების მე-7 კანონი, ტრულის კრების 1-ლი კანონი); ბ) მმართველობისას უარი თქვან მსოფლიო ეკლესიის ძირითად კანონებზე (ტრულის კრების მე-2 კანონი, VII მსოფლიო საეკლესიო კრების 1-ლი კანონი); გ) შემოიტანონ რაიმე სიახლე სწავლებებში, რადგან, რაც დადგინდა მოციქულთა ხანიდან, ის ეკლესიამ საუკუნეთა განმ-ავლობაში შემოინახა (ტრულის კრების მე-13, 28-ე, 29-ე, 32-ე, 55-ე, 56-ე, 81-ე კანონები); დ) დაარღვიონ დანარჩენი ეკლესიების მიმართ არსებული სულიერი ერთობა; ე) ხელყონ სხვა ეკლესიების უფლებები და ტრადიციები.

კერძოდ, უკვე არსებული ადგილობრივი ეკლესიებისათვის ავტოკეფალიის მინიჭებ-ასა და ადგილობრივი ეკლესიიდან იმ ნაწილის გამოყოფას, რომელიც შეადგენს დამოუკიდებელ, თვითმმართველ ეკლესიას, კანონიკურ წეს-განგებასა და საეკლესიო-ისტორიულ პრაქტიკაში გაჩნია შემდეგი საფუძვლები:

ა) უძველესი ადათ-წესები;

ბ) ეროვნული და პოლიტიკური განცალკევებები.

კანონიკური კანონმდებლობით, უძველესი ადათ-წესები წარმოადგენენ ადგილობრივი ეკლესიების უპირატესობას, რომელ-თა ხელყოფაც, სხვა მეზობელი ადგილობრივი ეკლესიების მხრიდან, დაუშვებელია. აღსანიშნავია განწესებაც, რომელიც შემდეგ მონაცემებს მოიცავს:

ა) პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების მე-6 კანონი გადმოგვცემს: "ძველი წესი დაცული იყოს ეგვიპტეში, ლიბიასა და პენტაპოლისში, რათა მათზე ვრცელდებოდეს ალექსანდრიის ეპისკოპოსის ხელისუფლება. მსგავსი ტრადიცია არის რომის ეკლესიაში, ანტიოქასა და სხვა ეპარქიებშიც (სამთავროებში), იქ დაცულია რომელიმე ეკლესიის უპირატესობა. მხოლოდ უძველესი ტრადიციების დაცვით უნდა მოხდეს აქ მოხსენიებული მღვდელ-მთავრების უპირატესობის შენარჩუნება." კანონში არ არის ნახსენები ის მნიშვნ-ელოვანი საკითხი, რომელიც პირდაპირ მუთითებს ამ ეკლესიების მოციქულებრივ წარმოშობაზე. ამ კანონის მიხედვით, საკმარისია მხოლოდ უძველესი ადათ-წესები. სხვათა შორის, ეს უპირატესობაც მეტად მნიშვნელოვანია. ამავე საეკლესიო კრების მე-7 კანონი გვატყობინებს, რომ: "რადგან ჩვეულებით დამტკიცებული და უფლისაგან დადგენილია, რომ პატივი მიეგოს ელიის (იერუსალიმის) ეპისკოპოსს, ამიტომ ამ ქალაქს შეურყევლად ჰქონდეს მიტროპოლიტის პატივი". ამ ტექსტში კანონის არსი ერთობ გაუგებარია. ფაქტია, რომ მიტროპოლიტის ხარისხი (უფლებები) უნდა ჰქონდეს პალესტინის კესარიის ეპისკოპოსს, რომლის შემადგენლობაში შედის იერუსალიმის კათედრაც. მაგრამ ამ უკანასკნელის ეპისკოპოსმა კვლავაც უნდა შეინარჩუნოს ღირსების უპირატესობა. აქ ჩვეულებით დამტკიცებულმა და ზეციდან მოცემულმა ამ ადათ-წესმა უშუალოდ მსოფლიო საეკლესიო კრების განწესებაზეც კი იმოქმედა, გარკვეული უპირატესობაც კი მიიღო, როცა საქმე ეხებოდა მიტროპოლიტის ხელისუფლებას.

ამ კანონების ძალის უფრო ნათლად გარკვევისათვის, პირველ რიგში, ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებას, თუ როგორი ენერგიულობით ეხებოდა და გამოთქამდა თავის მოსაზრებებს ამ უძველ-ესი ადათ-წესების შესახებ ორივე მსოფ-ლიო საეკლესიო კრება. საქმე ის იყო, რომ ბერძნულ-რომაული იმპერიის ურთიერ-თშეთანხმებით მოხდა ადმინისტრაციული ოლქების ახალი გადანაწილება (პრეფექტურები, დიოცეზები და პროვინციები). ეს ყოველივე ადმინისტრაციული მმართვე-ლობის გაუმჯობესებისათვის მოხდა. თუმცა კი, პოლიტიკური მიზნებიდან გამო-მდინარე, ხშირი იყო ადმინისტრაციულ ოლქებად დაყოფაც. ეს კი თანდათანობით ათანაბრებდა რომაელთა მიერ დაპყრობილი ხალხების ეთნოგრაფიულ განსხვავებებს. ორივე მსოფლიო საეკლესიო კრებას ჰქონდა მკდელობა, განეხორციელებინა ახალი ადმინისტრაციული დაყოფა საეკლესიო მმართველობისათვის. ნიკეის კრებამ დაადგინა ახალი პროვინციული ოლქი-ეპარქია მიტროპოლიტით სათავეში. მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებამ კი, თავის მხრივ, უფრო ვრცელი ოლქი შექმნა, რომელშიც რამდენიმე სამიტროპოლიტო-დიოცეზი შევიდა ეგზარქოსით სათავეში. აქვე აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით ეს ორივე მსოფლიო საეკლესიო კრება ძალზე ფრთხილად მოქმედებდა, რათა არანაირად არ მომხდარიყო იმ კათედრების უპირატესობის დარღვევა, რაც მათ დიდი ხნის წინ მიიპოვეს და თავიდანვე ფლობდნენ მას. ასე რომ, ზემონახსენები ბერძნულ-რომაული იმპერიის პოლიტიკური დაყოფა არასდროს ყოფილა საეკლესიო დაყოფასთან სრულ თანხვედრაში. ასეთი ფაქტი იშვიათად ხდებოდა, მაგრამ მაშინაც კი ოდითვანვე არსებული თვითმმართველი ეკლესიები თავის უფლებებს ამ ახალი ცენტრალიზებული დაყოფის შემდეგაც ინარჩუნებდნენ. ორივე მსოფლიო საეკლესიო კრება გამოირჩეოდა ძველი ადათ-წესებისადმი ღირსეული მოპყრობით და სამომავლოდ ყველას შეახსენებდა, რომ: „დაცული ყოფილიყო ძველი ტრადიციები!" მომდევნო საეკლესიო კრებებში მონაწილე მამები დიდი სიწმიდით იცავდნენ ამ მცნებებს.

ბ) ამ მიმართებით აღსანიშნავია მსოფლიო ეკლესიის კანონმდებლობის შემდეგი ცნობები. მესამე მსოფლიო საეკლესიო კრების მე-8 კანონში ვკითხულობთ: „კვიპროსელმა ეპისკოპოსებმა (რიგინორი, ზენონი და ევაგრე) ეფესოს კრებას წარუდგინეს სიტყვიერი და წერილობითი საჩივარი იმის თაობაზე, რომ კვიპროსზე ანტიოქიის ეპისკოპოსი ხელდასხმას ბედავდა, რაც საეკლესიო წესებსა და წმიდა მამათა კანონებს ეწინააღმდეგებოდა. მაშინ, როდესაც, საეკლესიო კრების განჩინების თანახმად, კვიპროსელ ეპისკოპოსებს თავად, დამოუკიდებლად უნდა ჰქონოდათ თავისივე ეპისკოპოსების ხელდასხმის უფლება. ეს წესი უცვლელად დაცული უნდა ყოფილიყო სხვა ოლქებსა და ეპარქიებში. საეკლესიო კანონი გვამცნობს:

„ნურც ერთი ეპისკოპოსი ნუ მიიტაცებს სხვა ეპარქიას, რომელიც თავდაპირველადვე და ძველთაგანვე მას არ ემორჩილებოდა და არ იყო მისი წინამორბედი ეპარქიის მმართველთა გამგებლობის ქვეშ, და თუკი ვინმე მიიტაცებს და იძულებით დაიმორჩილებს სხვა ეპარქიას, ივი გადაყენებული უნდა იქნეს, რათა არ მოხდეს მამათა კანონის დარღვევა და მღვდელმთავრებში თავი არ იჩინოს საერო მთავრობისმოყვარეობამ, ამპარტავნებამ და მედიდურობამ. ყველაზე მცირე, არ დავკარგოთ ის თავისუფლება, რომელიც თავისი სისხლით გვიბოძა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ და რომელმაც ამ გზით იხსნა ადამიანების მთელი მოდგმა". ამ კანონების განმარტებისას ბალსამონი ასე ხსნის ანტიოქიის ეპისკოპოსის მცდელობის მოტივებს: "რომის იმპერიიდან დიდი ანტიოქიის გამოყოფამდე რომელი იმპერატორი აქ აგზავნიდა საკუთარ ხელისუფალს. თავის მხრივ კი, ანტიოქიიდან კუნძულ კვიპროსზე იგზავნებოდა სამხედრო მოხელე, როგორც იმპერატორისადმი დაქვემდებარებულ ქვეყანაში. ხოლო რაც შეეხება კვიპროსელ ეპისკოპოსებს, მათი ხელდასხმა (კურთხევა) და მართვა-გამგეობა ადგილზევე ხორციელდებოდა დამოუკიდებლად. როდესაც ანტიოქიის მაშინდელმა ეპისკოპოსმა განიზრახა, განეხორციელებინა ქიროტონია კვიპროსის ეკლესიებში იმ საბაბით, რომ ანტიოქიის მმართველი თავის სამხედრო მოხელეს აგზავნდა კუნძულზე, როგორც მისადმი დაქვემდებარებულ ქვეყანაში, მაშინ კვიპროსელმა ეპისკოპოსებმა ყოველივე ეს ეფესოს საეკლესიო კრებას მოახსენეს. კრებამაც, თავის მხრივ, ამ საკითხს ყურადღება მიაქცია და მათი თანდასწრებით დაადგინა: კვიპროსზე ეპისკოპოსები, კანონისა და ყველა უძველესი ტრადიციის დაცვით, დამოუკიდებლად უნდა ხელდასხმულიყვნენ." ეს წესი ასევე დაცული უნდა ყოფილიყო სხვა ოლქებსა და ეპარქიებში.

ჩვენ ვხედავთ მოყვანილი კანონის ზუსტ განმარტებას და ამ კერძო შემთხვევაში პირველი და მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებების მიერ საეკლესიო დავის გადასაწყვეტად გამოყენებულ კანონებს: როდესაც ანტიოქიის ეპისკოპოსმა კვიპროსის ეკლესიის მიმართ გადაამეტა თავის უფლებებს, კვიპროსელმა ეპისკოპოსებმა მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე თავისი ეკლესიის დამოუკიდებლობა დაიცვეს და ეს მხოლოდ ძველ წეს-ჩვეულებებზე დაყრდნობით შეძლეს. თავის მხრივ, მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებამაც აღიარა ეს ერთადერთი საშუალება სადავო საკითხის გადასაწყვეტად. მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებამ ერთხმად დაგმო ანტიოქიის ეპისკოპოსის ქმედების გამამართლებელი მოსაზრება, რომ იგი კვიპროსის მიმართ მხოლოდ სამოქალაქო უპირატესობას ფლობდა. ეს იყო იმ თავისუფლების ხელყოფა, რომელიც თვით უფალ იესო ქრისტესგან ებოძა ხალხს.

მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებამ ყველას გასაგონად განაცხადა: ადგილობრივი ეკლესიების თვითმმართველობა, როგორც მართლმადიდებლობის ძირითადი პრინციპი, მომავალშიც უნდა იყოს აღიარებული და დაცული, და თითოეულმა ოლქმა და ეპარქიამ ზუსტად უნდა აღასრ-ულოს ეს უძველესი წეს-ჩვეულებებიასე რომ, კვიპროსის ეკლესიამ დაიცვა თავისი დამოუკიდებლობა ძველი ტრადიციების საფუძველზე.

(გაგრძელება იქნება)

ვახტანგ გურული

(საქართველოს ახალი ისტორია, . (1801-1918) წიგნი 3; გვ: 521-524

დასაწყისი იხ. „ალიონი"№18-32,2022წ, №3-9, 2023 წ.

„თითოეული ნახატი უამრავ ემოციას და განცდას იტევს“



ალიონი. ოზურგეთის სამხატვრო სკოლაში, ამ სკოლის მე-6 კლასის მოსწავლის, **მარიამ დოლიძის** ნამუშევრების პერსონალური გამოფენა მოეწყო, რომელმაც საზოგადოების მხრიდან დიდი მოწონება დაიმსახურა.

მანამდე მარიამ დოლიძემ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ კალიგრაფიის კონკურსში გაიმარჯვა. იგი ნაგომრის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეა.

გურიის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე თამაზ დარჩია მარიამ დოლიძის ამ წარმატებებს მოულოდნელ კარგ შედეგს უწოდებს.

გაზეთი „ალიონი“ ნიჭიერ მხატვარს და მის პედაგოგებს ესაუბრა:

—მეოთხე წელია სამხატვრო სკოლაში დავდივარ. საკმაოდ შორი გზა მაქვს გასავლელი და ტრანსპორტის პრობლემაცაა, ამას კოვიდის რეგულაციებიც დაემატა და ნატო ყალიჩავას მიერ ჩატარებულ ბევრ გაკვეთილს გამოვაკლდი. თითქმის დამოუკიდებლად მოვემზადე გამოფენისთვის. თითოეული ნახატი უამრავ ემოციასა და განცდასთან არის დაკავშირებული. ძალიან ბევრ სათქმელს იტევს ფერები. ტონალობა და ა.შ. უფრო პორტრეტებს ვხატავ. მაქვს შერეული ნახატებიც —პეიზაჟი, ნატურმორტი.. .როგორც გამოცდილი მხატვრები მეუბნებიან, მაქვს ბევრი გავლენა, ამიტომ მინდა ბევრი ვიმუშაო, განვითარდე და ბევრი რამ შევცალო.

მიუხედავად იმისა, რომ კარგი ხელი მაქვს, ჩემთვის მოულოდნელი ეფექტი ჰქონდა კალიგრაფიის კონკურსში გამარჯვებას, „ვეფხისტყაოსანის“ 3 კუპლეტი დავწერე.

„ტექნოპარკში“ ოზურგეთის მერიამ გამარჯვებულად გამომაცხადეს და 200 ლარით დამაჯილდოვეს.

2 წლის წინ ნაგომარში დღესასწაული მოაწყვეს, სადაც იყო ხელით შესრულებული ნაქარგობა, ნაქსოვი, ხელნაკეთი ნივთები, კულინარული ნაწარმი. მე ჩემი ნახატები გამოვფინე. სამი-ოთხი ნახატი გავყიდე კიდეც.— გვითხრა მარიამმა.

ფიქრობს თუ არა იგი სამხატვრო აკადემიაში სწავლის გაგრძელებას, გვპასუხობს, რომ იგი გრაფიკული დიზაინითაა დაინტერესებული და არა მარტო აკადემიაში ჩარიცხვას, სასწავლებლად საზღვარგარეთაც წასვლას გეგმავს.

ავთანდილ თავართქილაძე, პედაგოგი, ოზურგეთის სამხატვრო გალერეის დირექტორი:

—მარიამ დოლიძე გამოირჩევა ნიჭიერებით. მინდა გაიაროს დაზგური გრაფიკის კურსი და ვფიქრობ საშემოდგომო გამოფენაში მიიღებს მონაწილეობას.

25 მაისს ვიწყებთ დაზგური გრაფიკის 10 დღიან კურსს,—ოფორტის კეთებას, რომელშიც მარიამ დოლიძესაც ჩავრთვათ და შედეგების მიხედვით შესაბამის სერთიფიკატს გადავცემთ. ივნისის ბოლოს პროფესორი ვახტანგ მეგრელიშვილი ჩაატარებს ვორქშოფს. შემდეგ, ივლისში კი ლიეტუველი მხატვრები ჩამოვლენ და ისინი ქართველ მხატვრებთან ერთად მოამზადებენ კატალოგს, სადაც 12 მონაწილეს შორის მარიამ დოლიძეც იქნება.

მარიამის დებიუტი დიდ გამოფენაში გურიის მხატვართა კავშირის საშემოდგომო გამოფენაზე შედგება. ვფიქრობთ, თუკი ინტენსიურად იმუშავებს და ჩვენს იმედებს გაამართლებს, მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენაც მოეწყობა.— გვითხრა ავთანდილ თავართქილაძემ

—მარიამი ნიჭიერი და მიზანდასახული ახალგაზრდაა და მასზე დიდ იმედებს ვამყარებთ. ძალიან გაგვახარა კალიგრაფიის კონკურსში გამარჯვებით. წარმატებული გამოდგა მისი პერსონალური გამოფენაც ჩვენს სკოლაში. დარწმუნებული ვარ პედაგოგების მიერ ავანსად თქმული სიტყვები მარიამის შესახებ გამართლდება და მისი ნიჭიერება დაუღალავ შრომასთან ერთად კარგ შედეგს მოიტანს — გვითხრა სამხატვრო სკოლის დირექტორმა **კახა ვასაძემ.**



გაზეთ „ალიონის“ რედაქცია უსურვებს წარმატებებს მარიამს შემოქმედებით საქმიანობაში.

სუფსის ხეობას 40 ხოხობი შეემატა

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კონჭკათში, სუსკურის ღელესა და მდინარე სუფსის შეერთების არეალში ფონდი „ქართუს “დაფინანსებით აშენებულმა საჩხერის აგრო კომპლექსის საშენიდან 20 დედალი და 20 მამალი ხოხობი გაუშვეს ველურ ბუნებაში.

როგორც ფონდ „განვითარება და გარემოს“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა **თემურ ტყემალაძემ** გვითხრა, ისინი შემოდგომაზე რეგიონში უფრო დიდი აქციის განხორციელებას გეგმავენ.

— *ჩვენი ფონდი ფონდ „ქართუსთან“ და ძალიან ბევრ არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობს. ჩვენი მიზანია ხელი შეუწყოთ და აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ქვეყნის მდგრად განვითარებაში, რაც გულისხმობს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ისე, რომ გარემოზე ზემოქმედება მინიმუმამდე იქნას დაყვანილი. მეტიც, მთელი რიგი ეკონომიკური აქტივობები შეიძლება მიმართული იქნას გარემოს რეაბილიტაციასა და მისი მდგრადი გამოყენებისკენ.*

ჩვენ აქტიურად ვართ ჩართული ქ. თბილისის ურბანული ტყის ლანდშაფტის აღდგენა-რეაბილიტაციაში, მთაწმინდის განაშენიანებაში, სადაც ჩვენ 150 000 მარადმწვანე და ფოთლოვანი ხეები დავრგეთ. ვმუშაობთ ტურისტული პოტენციალის ათვის-ებისთვის. ვმუშაობთ იაღლუჯის ქედისა და ქ. რუსთავის გარშემო განაშენიანებისათვის. დიდი სამუშაოები ჩავატარეთ მდინარე ალაზნის ხეობის რეაბილიტაციისათვის.

სართიჭალაში სანერგე გვაქვს, სადაც ტყის მცენარეები გამოგვყავს. უნდა აღვადგინოთ წლების წინ ბუნებაზე მიყენებული ზარალი. ძალიან საინტერესო პროექტი გვაქვს; ერთ-ერთი ასეთია — უნდა მოვაშენოთ კეთილშობილი ირემი და ირემლაღი

რა თქმა უნდა, ნადირ-ფრინველის მოშენება ბრაკონიერობის აღმოფხვრაზეა დამოკიდებული. უნდა გამკაცრდეს კანონი და ბრაკონიერებზე უნდა გატარდეს შესაბამისი ზომები. მსგავსი აქციები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში იმართება და როცა ნადირ-ფრინველი მომრავლდება, სამონადირეო ტურიზმიც განვითარდება.— გვითხრა თემურ ტყემალაძემ.

თემურ ტყემალაძემ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებთან ლავრენტი ბიგვავასთან და გელა არაშიძესთან საუბარში აღნიშნა, რომ გარემოს დაცვაში ძალიან მნიშვნელოვანია მოსახლეობის პასუხისმგებლობა. მაგალითად საფრანგეთში, მონადირე იხვზე ნადირობისას არასდროს ესვრის მოწინავე იხვს, ისინი ბოლო ორ იხვს ესვრიან. თუკი შეეშალათ, თავად უკავშირდებიან გარემოსდამცველებს ჯარიმას იხდიან.

მონადირე ძაღლების გამოფენა ჩოხატაურში

30 აპრილს, ჩოხატაურის ბორის პაიჭაძის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ძაღლით ნადირობის მოყვარულთა საზოგადოების და მონადირეთა კლუბ „ძმას“ ეგიდით მონადირე ძაღლების გამოფენა გაიმართა, რომელიც ყოველწლიურად ტარდება.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო როგორც მეძებრები, ასევე, მდევრები: ინგლისური, ირლანდიური, შოტლანდიური სეტერი, დრაჰაარი, კურცჰაარი, ბრეტონული ეპანიოლი, რუსული მდევარი, ანგლორუსული მდევარი და ჭრელი მდევარი. ჯამში, სულ 127 ძაღლი. მათ ხუთი ექსპერტის აფასებდა..

გამარჯვებულებს გადაეცათ ძაღლისთვის საჭირო ინვენტარი და საკვები, ასევე, მუნიციპალიტეტის მერიამ ხუთ საუკეთესო ძაღლს გადასცა ფულადი ჯილდო 500 ლარის ოდენობით, ესენი იყვნენ: 3 რუსული მდევარი, ინგლისური სეტერი და რუსული ჭრელი.

მზე, ღრუბელი +10+22
5 მაისი
პარასკევი

მზე, ღრუბელი +10+21
6 მაისი
შაბათი

წვიმა +9+15
7 მაისი
კვირა

წვიმა +4+11
8 მაისი
ორშაბათი

წვიმა +6+11
9 მაისი
სამშაბათი

მზე +11+19
10 მაისი
ოთხშაბათი

ღრუბელი +16+27
11 მაისი
ხუთშაბათი